საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-545

27/04/2021

ქ. თბილისი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 31 მარტს სამინისტროს მომართა შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გაიცა N68 (24.11.2015) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2015 წლის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის N0-911 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2015 წლის №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №68; 24.11.2015)
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს მდ. ლახამზე ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (ლახამი 1 ჰესი - 6.4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და ლახამი 2 ჰესი - 9.6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის N0-911 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი